



სტრასბურგი, 2016 წლის 11 იანვარი

საჯარო

GVT/COM/II(2016)001

**ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის  
საკონსულტაციო კომიტეტი**

**საქართველოს მთავრობის კომენტარები საქართველოს მიერ ეროვნულ  
უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციის  
საკითხებზე საკონსულტაციო კომიტეტის დასკვნასთან დაკავშირებით**

(მიღებულია 2016 წლის 11 იანვარს)

**საქართველოს მთავრობის კომენტარები საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტის მეორე დასკვნასთან დაკავშირებით**

**შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის კომენტარები:**

**მუხლი 4, პუნქტი 8** - აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება ართულებს და მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის ქართული ენის სწავლების პროცესს. 2015 წლის 1 სექტემბრიდან გალის რაიონში არსებულ 11 ქართულ სკოლაში მშობლიურ ქართულ ენაზე სწავლება შეწყდა პირველიდან მეოთხე კლასამდე ეთნიკური ქართველებისთვის; ქართული ენა ჩაანაცვლა რუსულმა ენამ. 2008 წლიდან, აფხაზეთის სასწავლო პროგრამის თანახმად, ქართული ენა ისწავლება ჩვეულებრივი საგნის სახით, ხოლო ქართული სახელმძღვანელოები აიკრძალა ტყვარჩელისა და ოჩამჩირეს რაიონებში მდებარე სკოლებში. აკადემიური პროცესი მიმდინარეობს რუსულენოვანი სკოლებისთვის შედგენილი სახელმძღვანელოების გამოყენებით. აღნიშნულის მსგავსად, ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი ასევე სერიოზული პრობლემის წინაშე დგას - ოსურ ენას თანდათან ანაცვლებს რუსული ენა. ახალგორის რაიონში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებს ასევე პრობლემები შეექმნათ შესაბამისი განათლების მიღების კუთხით.

**მუხლი 16, პუნქტი 50** – 2015 წლის 17 აგვისტოს საქართველოს მთავრობამ მიიღო **სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმა**. აღნიშნული ახალი სტრატეგია ეფუძნება თანასწორობის პრინციპსა და მიდგომას - „*მეტი მრავალფეროვნება, მეტი ინტეგრაცია*“ და მის მიზანს წარმოადგენს თანასწორობის უზრუნველყოფა; საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში ეთნიკურ უმცირესობათა სრულუფლებიანი ჩართულობა და ეროვნულ უმცირესობათა კულტურისა და იდენტობის შენარჩუნება. აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების პროცესი ღიად და გამჭვირვალედ მიმდინარეობდა და იძლეოდა შესაბამის სფეროში დაინტერესებული და მომუშავე პირების აქტიური ჩართულობის შესაძლებლობას. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა განხილულ იქნა ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსთან, ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან, პოლიტიკურ პარტიებსა და ექსპერტებთან, აგრეთვე ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებთან, განსაკუთრებით რეგიონებში. დოკუმენტის საერთაშორისო ექსპერტიზა უზრუნველყო ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში ეუთო-ს უმაღლესი კომისრის ოფისმა.

**მუხლი 23, პუნქტი 75** – 2015 წლის ივლისში საქართველოს მთავრობამ მიიღო სახელმწიფო ენის შესახებ კანონი. აღნიშნული კანონის მიღებამდე, პროექტი ფართოდ იქნა განხილული სახელმწიფო უწყებებს, სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, აგრეთვე ექსპერტებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის. მიღებული კანონი ითვალისწინებს „ეროვნულ უმცირესობათა ენის“ განმარტებას და უმცირესობათა ენების გამოყენების უზრუნველყოფას ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში.

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კომენტარები:**

**მუხლი 9, პუნქტი 25** - საქართველოს მთავრობის განმარტებით, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს საჯარო მოხელეებს შორის ანტიდისკრიმინაციული სტანდარტებისა და ზიანის ანაზღაურების შესაბამისი მექანიზმების შესახებ ცნობიერების დონის ამაღლების ღონისძიებებს ანტიდისკრიმინაციული კანონის ეფექტური იმპლემენტაციის ხელშეწყობის მიზნით. იუსტიციის სამინისტროს სამიზნე რეგიონებს წარმოადგენს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონები, სადაც ჩატარდება ანტიდისკრიმინაციულ კანონთან გაცნობითი ხასიათის ტრენინგები (მიზანი 1.6.2.).

**მუხლი 10, პუნქტი 30** - საქართველოს მთავრობის განმარტებით, 2011 წლიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრსა (IRC) და უმცირესობათა საკითხების ევროპულ ცენტრთან (ECMI) თანამშრომლობით, მიმართავს შესაბამის ზომებს რომა/ბოშა მოსახლეობის რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემის აღმოფხვრისა და რომა/ბოშების მიმართ სამართლებრივი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.

ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრის (IRC) მიერ 2011-2015 წლებისთვის წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებულმა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ დაარეგისტრირა დაახლოებით 63 რომა/ბოშა.

გარდა ამისა, ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საბჭოს მიერ 2014 წლის ნოემბერში შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა ყოველი შესაბამისი სამინისტროს, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ბავშვთა პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი. სამუშაო ჯგუფის მიზანს წარმოადგენდა ქუჩებში მომუშავე და მცხოვრები ბავშვების წინაშე არსებული ძირითადი საფრთხეების განსაზღვრა და სათანადო ეფექტური ზომების შეთავაზება აღნიშნული საფრთხეების აღმოფხვრის მიზნით. სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა სამართლებრივი ცვლილებები ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემების

მოსაგვარებლად. შედეგად, წარმოდგენილი იქნება საკანონმდებლო ჩარჩო ბავშვების პირადობის დადგენისა და მათთვის შესაბამისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის უზრუნველსაყოფად.

საბჭომ აღნიშნული ცვლილებები დაამტკიცა 2015 წლის 23 დეკემბერს და მათი კანონიერ ძალაში შესვლა იგეგმება 2015 წლის იანვარში.

**მუხლი 10, პუნქტი 31** - საქართველოს მთავრობის განმარტებით, ნებაყოფლობით რეპატრირებული პირების რაოდენობა, რომლებიც საქართველოში დაბრუნდნენ საკუთარი სურვილით და არა რეპატრაციის შესახებ კანონის ფარგლებში, უცნობია, ვინაიდან მათ არ მიუმართავთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის რეპატრიანტის სტატუსის მისაღებად, თუმცა არასრულწლოვან ნებაყოფლობით რეპატრირებულ პირებს მიენიჭათ სპეციალური ბინადრობის ნებართვები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის წინადადების საფუძველზე.

31-ე პუნქტის მეორე ნაწილთან დაკავშირებით, რომელშიც გათვალისწინებულია რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირების მიერ მოქალაქეობის მიღების საკითხი, „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი კონკრეტულად ითვალისწინებს (მუხლი 14, პუნქტი 2), რომ რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირებს შეუძლიათ გააკეთონ განაცხადი საქართველოს მოქალაქეობაზე გამარტივებული წესით საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად. აღნიშნულიდან გამომდინარე, მე-12 მუხლში წარმოდგენილი ზოგადი მოთხოვნები მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებით (სრულწლოვან პირს საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭება, თუ კანონიერ საფუძველზე უწყვეტად ცხოვრობს საქართველოში ბოლო თანმიმდევრული 5 წლის განმავლობაში; განმცხადებელმა იცის საქართველოს სახელმწიფო ენა, საქართველოს ისტორია და სამართლის ძირითადი საფუძვლები; განმცხადებელი მუშაობს საქართველოში ან/და აქვს საქართველოში უძრავი ქონება, ან საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, ან საქართველოს საწარმოში ფლობს წილს ან აქციებს) არ გამოიყენება რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირების მიმართ.

საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 10 ივნისის №237 ბრძანებულების 31-ე მუხლის თანახმად, რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირებს მიენიჭებათ საქართველოს მოქალაქეობა შემდეგი პროცედურების მიხედვით:

1. საქართველოში რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირს რეპატრიანტის სტატუსის მინიჭებიდან ორი წლის განმავლობაში შეუძლია განცხადებით მიმართოს უფლებამოსილ ორგანოს გამარტივებული წესით მოქალაქეობის მინიჭების მოთხოვნით. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტები:
  - ა. დაბადების მოწმობის ასლი (თუ მოქალაქეობის მინიჭების მსურველი პირი არასრულწლოვანია და დაბადებულია საზღვარგარეთ);

- ბ. რეპატრიანტის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- იმ შემთხვევაში, თუ რეპატრიანტის სტატუსის მფლობელი პირი არ ფლობს ქართულ ან ინგლისურ ენას და ფიზიკურად არ იმყოფება საქართველოში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭების შესახებ განცხადების შევსებას ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის საფუძველზე და აღნიშნულ განცხადებას ელექტრონული ფორმით უგზავნის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელიც უზრუნველყოფს მის მიწოდებას საზღვარგარეთ საქართველოს შესაბამისი დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების მიმართ.
  - საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭების შესახებ ბრძანებულების გამოცემიდან ორი წლის ვადაში, რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირმა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ან საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას უნდა წარუდგინოს სხვა ქვეყნის მოქალაქეობიდან გასვლის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი. აღნიშნულ ვადაში სხვა ქვეყნის მოქალაქეობიდან გასვლის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ითვლება ძალადაკარგულად.
  - აღნიშნული მუხლის პირველი და მესამე პუნქტებით გათვალისწინებული ვადის არასაპატიო მიზეზით დარღვევის შემთხვევაში, რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირი საქართველოს მოქალაქეობას გამარტივებული წესით ვეღარ მიიღებს.

**სტატისტიკა:**

2013 წელი - 7 რეპატრიანტი

2014 წელი - 376 რეპატრიანტი

2015 წელი - 96 რეპატრიანტს მიენიჭა მოქალაქეობა, ხოლო 15 განმცხადებელი ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია.

**სულ 472 რეპატრიანტს მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა.**

**მუხლი 11, პუნქტი 32** - საქართველოს მთავრობის განმარტებით, მოქალაქეობის საკითხთა კომისია უფლებამოსილია შეამოწმოს გამონაკლისის წესით უცხოელებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება შეესაბამება თუ არა საქართველოს კონსტიტუციას. კერძოდ, თუ არსებობს რაიმე საგანგებო გარემოება,

როგორცაა სხვა ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურება ან თუ პირის მიმართ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან. კომისიის მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, რომლის ფარგლებშიც ხდება საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება ცხინვალის რეგიონში / სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ამჟამად / ადრე მცხოვრები პირების მიმართ, განიხილება, როგორც საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე და ისინი უფლებამოსლნი არიან მიიღონ საქართველოს მოქალაქეობა გამონაკლისის წესით.

**მუხლი 12, პუნქტი 37** - საქართველოს მთავრობის განმარტებით, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში გავრცელებულ იქნა უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ საქართველოს კანონის დებულებების ამსახველი საინფორმაციო ბიულეტენები ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. გარდა ამისა, იუსტიციის მინისტრმა - ქ-ნმა თეა წულუკიანმა გამართა რიგი საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივ მოსახლეობასთან და განუმარტა მათ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებისა და საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის პროცედურები. ამასთანავე, აღნიშნული კამპანიის წარმოებისას იუსტიციის სამინისტროსთან აქტიურად თანამშრომლობდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, ასევე რეგიონის წარმომადგენელი პარლამენტარები.

**მუხლი 24, პუნქტი 84** - საქართველოს მთავრობის განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობა ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ოფიციალური ინტერნეტ-პორტალის - [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) საშუალებით. სამართლებრივი აქტების უმრავლესობა ასევე წარმოდგენილია ინგლისურ და რუსულ ენებზეც. გარდა ამისა, ისტორიული გვარების აღდგენის პროცედურების ამსახველ აქტებთან გაცნობა ასევე შესაძლებელია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისტანციური მომსახურების სამსახურიდან, იუსტიციის სახლის სატელეფონო საკონსულტაციო ცენტრებიდან, ასევე იუსტიციის სახლის ადგილობრივი ფილიალებიდან და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულებიდან.

საქართველოში მცხოვრები იეზიდთა თემის წარმომადგენლები, საქართველოს სხვა მოქალაქეებთან ერთად, უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ მათი ისტორიული გვარების აღდგენა იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენენ საკმარის მტკიცებულებას აღნიშნული გვარისადმი მათი კუთვნილების დადასტურების მიზნით. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებმა გამართეს რიგი საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები იეზიდთა თემთან, სადაც ამ უკანასკნელს მიეწოდა დეტალური ინფორმაცია იმ აუცილებელი პროცედურებისა და დოკუმენტების შესახებ, რომელთა წარდგენაც აუცილებელია ისტორიული გვარების აღდგენის მიზნით.

რაც შეეხება სახელის შეცვლას, აღინიშნა, რომ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღებისას, პირს უფლება აქვს მოითხოვოს მისი სახელის მართლწერა ქართული ასოებით მისი ეთნიკური ან ენობრივი ჯგუფისთვის დამახასიათებელი ტრანსლიტერაციის შესაბამისად. გარდა ამისა, საქართველოს ნებისმიერ სრულწლოვან მოქალაქეს და მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელსაც საქართველოში მინიჭებული აქვს სამართლებრივი სტატუსი და რომლის დაბადებაც რეგისტრირებულია საქართველოში, გააჩნია მისი სახელის ერთხელ შეცვლის უფლება.

**მუხლი 25, პუნქტი 86** - საქართველოს მთავრობის განმარტებით, მოცემული მდგომარეობით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სამოქალაქო აქტების რეგისტრაციისას, სადაც ადრე სამოქალაქო აქტები გაიცემოდა უცხო (ძირითადად რუსულ) ენაზე კონკრეტული ეთნიკური ან ენობრივი ჯგუფისთვის დამახასიათებელი ტრანსლიტერაციის შესაბამისად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო განიხილავს მოქალაქეთა მოთხოვნებს და გასცემს დოკუმენტებს ქართულ ენაზე აღნიშნული ეთნიკური ჯგუფის ენობრივ მახასიათებლებთან შეძლებისდაგვარად ახლოს მყოფი მართლწერით.

**მუხლი 30, პუნქტი 108** - საქართველოს მთავრობა ადასტურებს, რომ ქართული ენის სრულყოფილ ცოდნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებაში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების სრული ინტეგრაციისთვის. ხელისუფლებამ მიმართა სათანადო ზომებს ქართული ენის სწავლების ხელშეწყობასთან დაკავშირებით. კერძოდ, 2015 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით, ოთხ საზოგადოებრივ ცენტრში (ფოკა, კაბალი, სართიჭალა და ყვარელწყალი) შეიქმნა ქართული ენის შემსწავლელი კურსები ეთნიკური უმცირესობებისთვის. პროექტი განხორციელდა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფინანსური მხარდაჭერით. კურსი მორგებულია ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებზე და ძირითადად ტარდება იმ მეთოდების გამოყენებით, რომლებიც დაეხმარება კურსის მონაწილეებს სასაუბრო უნარების განვითარებაში. კურსის წარმატებით დასრულების შემდგომ, დაახლოებით 90 მონაწილეს გადაეცა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და იუსტიციის სასწავლო ცენტრის სერტიფიკატები.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო გეგმავს ქართული ენის შემსწავლელი კურსების გაგრძელებას ეთნიკური უმცირესობებისთვის.

**მუხლი 32, პუნქტი 120** - საქართველოს მთავრობის განმარტებით, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიასა და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმაში (მიზანი 1.3.4) გათვალისწინებული სახელმწიფო ვალდებულებების ნაწილის სახით წარმოდგენილია სახელმწიფო ადმინისტრირებაში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობის ხელშეწყობასთან დაკავშირებული დადებითი ღონისძიებების აუცილებლობა. კერძოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უზრუნველყოფს სტაჟირების პროგრამის შემუშავებას საქართველოში უმცირესობებით

დასახლებულ რეგიონებში განთავსებულ საზოგადოებრივ ცენტრებში ეროვნული / ეთნიკური უმცირესობებისთვის. პროგრამა განხორციელდება 2016-2017 წლებში.

**მუხლი 34, პუნქტი 127** - საქართველოს მთავრობის განცხადებით, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მიერ სოციალურ სერვისებზე წვდომას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ხელისუფლება. საქართველოს უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში საზოგადოებრივი ცენტრების დაფუძნება წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან და მასშტაბურ ინიციატივას. საზოგადოებრივი ცენტრები საშუალებას აძლევს საზოგადოებას ისარგებლონ 200-ზე მეტი სახელმწიფო და კერძო მომსახურებით მათი სოფლების დატოვების გარეშე. თუმცა, მთავრობა აღიარებს ენობრივ ბარიერსაც, რომელიც ზოგჯერ ხელს უშლის ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლის მიერ სახელმწიფო სერვისებით სარგებლობას. აღნიშნულ გამოწვევასთან გასამკლავებლად, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმის (მიზანი 1.3.3) ფარგლებში იკისრა ვალდებულება საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით უმცირესობათა ენებზე სახელმწიფო სერვისების და მიმდინარე სახელმწიფო პროგრამების (ფსიქო-სოციალური პროგრამები, საგანმანათლებლო პროგრამები, ახალი სამართლებრივი მარეგულირებელი აქტები) შესახებ საინფორმაციო ბუკლეტების გავრცელებასთან დაკავშირებით.

### **საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კომენტარები**

**მუხლები 12-13, პუნქტები 40, 41** - საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა კულტურას ქართულ კულტურასთან თანაარსებობის უძველესი ისტორია აკავშირებს. ებრაულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და სხვა ეროვნების წარმომადგენლებს საქართველოში გააჩნიათ საკუთარი პროფესიონალური და სამოყვარულო თეატრები, ხალხური ანსამბლები, პერიოდული გამოცემები, ბიბლიოთეკები, ხელოვნების სკოლები და კულტურული ცენტრები. ზემოაღნიშნული ორგანიზაციები ხელს უწყობს ეროვნულ უმცირესობათა კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებას, კულტურათაშორისი დიალოგის არსებობასა და ადამიანის უფლებებთან და ძირითად თავისუფლებათა დაცვას, საქართველოს კონსტიტუციაში გათვალისწინებული წესით.

2009 წლიდან აღნიშნული ორგანიზაციების რიგებში წარმოდგენილი ის ორგანიზაციები, რომლებიც ჩამოყალიბდნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად (სსიპ), სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სხვა ორგანიზაციათა მსგავსად, შეყვანილ იქნენ ერთიანი კოდექსის მქონე სუბსიდირებულ ორგანიზაციათა სიაში. უნდა აღინიშნოს, რომ 2004-2009 წლებში ეროვნულ უმცირესობათა ორგანიზაციების დაფინანსება, სხვა ორგანიზაციების მსგავსად, გაიზარდა.



გარდა ამისა, 2009 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა ეროვნულ უმცირესობათა კულტურის მხარდაჭერის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც უამრავი საინტერესო ინიციატივა დაფინანსდა.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების ფორმით დაფუძნებული, სუბსიდირებული ორგანიზაციების სიაში შემაჯავლი რამდენიმე ორგანიზაციის ბაზაზე უზრუნველყოფილი იქნა მხარდაჭერა უმცირესობათა კულტურის დაცვისა და განვითარების, პოპულარიზაციისა და თვითგამოხატვის, ასევე საქართველოს მასშტაბით მისი შემდგომი ინტეგრაციის მიზნით. აღნიშნულ ორგანიზაციებს მიეკუთვნება: დავით ბაზოვის სახელობის საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, მირზა-ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი, სმირნოვის მემორიალური მუზეუმი, თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური თეატრი, თბილისის ჰეიდარ ალიევის სახელობის აზერბაიჯანული თეატრი და სსიპ ალ. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრი.

2004-2015 წლებში კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პასუხისმგებლობაში შედიოდა საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ენებზე დაწერილი და გამოშვებული პერიოდული გამოცემების ფინანსური მხარდაჭერა. ვინაიდან აღნიშნულ გამოცემებში გათვალისწინებული სტატიები ხშირად არა-კულტურული ხასიათის იყო, გადაწყდა, რომ 2015 წლიდან მასზე პასუხისმგებლობა გადასულიყო შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატზე.

გთავაზობთ ეროვნულ უმცირესობათა კულტურის მიმართ მხარდაჭერის სტატისტიკას წლების მიხედვით, 2007 წლიდან 2015 წლამდე. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ მხარი დაუჭირა რიგ ინიციატივებსა და პროექტებს.

ეროვნულ უმცირესობათა კულტურის მხარდაჭერა წარმოადგენს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს უამრავი პრიორიტეტული მიმართულებიდან მხოლოდ ერთერთს. აღნიშნული განსაკუთრებული პრიორიტეტის თანახმად, კულტურის სამინისტრომ დააფინანსა რიგი არა-იურიდიული ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი უამრავი ინიციატივა, მათ შორის მუსიკალური წარმოდგენები, გამოფენები, გამოქვეყნებული წიგნები და ა.შ. ჩვენი დაფინანსების სისტემის შესახებ ყოველგვარი ინფორმაცია წარმოდგენილია კულტურის სამინისტროს ვებ-გვერდზე: [www.culture.gov.ge](http://www.culture.gov.ge). ეროვნულ უმცირესობათა კულტურის მიმართ მხარდაჭერის გაზრდის საჭიროებისა და მის შესახებ ცნობიერების დონის ამაღლების შემდგომი სტიმულირების მიზნით, 2016 წელს იგეგმება უამრავი კონკურსისა და პროექტის განხორციელება, განსაკუთრებით რეგიონებში.

„ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების კულტურისა და იდენტობის შენარჩუნებისა და განვითარების მხარდაჭერის შესახებ ჩარჩო კონვენციის“ მე-5 მუხლის გათვალისწინებით, გვსურს კიდევ უფრო დეტალურად განვმარტოთ

უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობა.

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო (კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული უწყება, რომლის პასუხისმგებლობაშიც შედის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის სისრულეში მოყვანა) მიმართავს შესაბამის მოქმედებებს ქვეყნის მასშტაბით წარმოდგენილი სრული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის, ხელშეწყობისა და შენარჩუნების მიზნით, აღნიშნული აქტივების ეთნიკური ფონის მიუხედავად, კერძოდ:

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კონსერვაციისა და რეაბილიტაციის კუთხით, კულტურულ მემკვიდრეობაზე გამოყოფილ ყოველწლიურ სახელმწიფო ბიუჯეტში პრიორიტეტების განსაზღვრის ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს ნაგებობების სავალალო მდგომარეობა და არასტაბილურობა, ასევე შესაბამისი ობიექტის მიმართ საზოგადოების დიდი დაინტერესება და განვითარების საჭიროება; უდიდესი პრიორიტეტი ენიჭება აგრეთვე მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შემავალ ობიექტებს, მათი კონსერვაციის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის სისრულეში მოყვანის მიზნით.

ბოლო წლებში ისტორიული ირანული, თურქული (ოტომანების), ებრაული, სომხური, გერმანული და აზერბაიჯანული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის, კონსერვაციისა და რეაბილიტაციის თვალსაზრისით განხორციელდა ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტები. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ პროექტებთან დაკავშირებით საუკეთესო შედეგების მისაღებად, უმეტეს შემთხვევაში, პროექტები სრულდება აღნიშნული ქვეყნებიდან მოწვეული საუკეთესო ექსპერტების აქტიური მონაწილეობით.

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს კომენტარი**

**მუხლი 10, პუნქტი 31** - უნდა აღინიშნოს, რომ „ყოფილი საბჭოთა კავშირის მიერ მე-20 საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან იძულებით გასახლებულ პირთა რეპატრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის გვერდის ავლით საქართველოში ჩამოსულ მესხებზე ვრცელდება „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც არეგულირებს მათ საქართველოში ყოფნასა და ბინადრობის ნებართვის გაცემის პროცედურებს. მოქალაქეობის მინიჭების საკითხს არეგულირებს საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეობის შესახებ“.

2014 წლის 12 სექტემბერს, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ბრძანებულება „ყოფილი საბჭოთა კავშირის მიერ მე-20 საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან იძულებით გასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირების ღირსეული და ნებაყოფლობითი დაბრუნების პროცესის კოორდინირება და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებაში რეპატრიანტების ინტეგრაციის ხელშეწყობა. დღეის მდგომარეობით, სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი დასრულებულია და მიმდინარეობს შიდა უწყებათაშორისი შეთანხმების პროცესი საქართველოს მთავრობასთან.

რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირებისთვის გამარტივებული წესით მოქალაქეობის მინიჭება ხდება „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 10 ივნისის №237 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხების მიმოხილვისა და გადაწყვეტის შესახებ მარეგულირებელი აქტის“ თანახმად. ზემოაღნიშნული ბრძანებულების თანახმად საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შემდგომ, აღნიშნული პირი ვალდებულია უარი განაცხადოს სხვა ქვეყნის მოქალაქეობაზე 2 წლის განმავლობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, აზერბაიჯანის მოქალაქეობიდან გასვლასთან დაკავშირებული საკითხები არ შედის საქართველოს კომპეტენციაში.

### **საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) კომენტარი**

**მუხლი 31, პუნქტი 115** - საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) უზრუნველყო საარჩევნო ბიულეტენების, ამომრჩეველთა სიების, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოებისა და სხვა მნიშვნელოვანი საარჩევნო დოკუმენტაციის თარგმანა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის საყოველთაო არჩევნების, ასევე 2015 წლის საპარლამენტო შუალედური არჩევნების განმავლობაში. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ აქტიურად მიმართა მედია საშუალებებს ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით. გარდა ამისა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის სწავლების ცენტრმა გამოჰყო გრანტები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და არჩევნებში ეროვნულ უმცირესობათა ჩართვის მიზნით. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შესთავაზა ეროვნულ უმცირესობათა რიგებიდან წარმოდგენილ ამომრჩევლებს რიგი სერვისები - ინფორმაციის მიღება საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით ცენტრალური საარჩევნო კომისიის საკონტაქტო ცენტრის საშუალებით და ამომრჩეველთა სიაში არსებული მონაცემების გადამოწმების შესაძლებლობა მათ საკუთარ ენაზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებ-გვერდის გამოყენებით.

### **რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს კომენტარი**

**მუხლი 20, პუნქტი 66** - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო აღნიშნავს, რომ ანგარიშის თხრობით ნაწილში ფიქსირდება ფაქტიური და ანალიტიკური უზუსტობები გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც საჭიროებს დაზუსტებას. სააგენტო, მისი რეგლამენტის თანახმად, წარმოადგენს სარეკომენდაციო ორგანოს რელიგიურ ორგანიზაციებსა და სახელმწიფოს შორის, შესაბამისად სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს სახალხო დამცველის აპარატის რელიგიათა საბჭოში როგორც ინდივიდუალურ, ასევე რელიგიათაშორის საფუძველზე წარმოდგენილ ყველა რელიგიურ ორგანიზაციასთან.

### **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კომენტარი**

**მუხლი 18, პუნქტი 57** - კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის თანახმად, სახელმწიფოს აკისრია პირდაპირი ან არაპირდაპირი დისკრიმინაციის თავიდან აცილების პოზიტიური და ნეგატიური პასუხისმგებლობა (მათ შორის კერძო სექტორში). აღნიშნული აგრეთვე ითვალისწინებს სახელმწიფოს ვალდებულებას ყოველგვარი შუღლის, რასობრივი, ეთნიკური, ეროვნული, რელიგიური სიძულვილის (სიძულვილის ენის) უკანონოდ გამოცხადებისა და ყოველგვარი პროპაგანდის აკრძალვასთან დაკავშირებით, რომელიც არ იქნება დაცული გამოხატვის თავისუფლებით.

თავდაცვითი დემოკრატიის ცნების თანახმად, დემოკრატიული ღირებულებების ბოროტად გამოყენების პარადოქსი, რასაც შედეგად მოჰყვება დემოკრატიისა და მისი ლიბერალური ღირებულებების, ასევე თავად შემწყნარებლობის რღვევა, თავიდან უნდა იქნას აცილებული. ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ ევროპის კონვენციის მე-17 მუხლის თანახმად, „ამ კონვენციაში არაფერი შეიძლება განიმარტოს ისე, რომ გულისხმობდეს რომელიმე სახელმწიფოს, ჯგუფის ან პირის უფლებას, მონაწილეობდეს რაიმე საქმიანობაში ან განახორციელოს რაიმე ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს არარად აქციოს კონვენციით განსაზღვრული რომელიმე უფლება თუ თავისუფლება ან შეზღუდოს ის იმაზე მეტად, ვიდრე კონვენციით არის გათვალისწინებული“.

„რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციის“ მე-4 მუხლი მოითხოვს მონაწილე სახელმწიფოებისგან, რომ „კანონით დასჯად ქმედებად გამოცხადდეს რასობრივ უპირატესობასა და სიძულვილზე დაფუძნებული იდეების ყოველგვარი გავრცელება, რასობრივი დისკრიმინაციის ნებისმიერი წაქეზება ისევე, როგორც ძალადობის ყველა აქტის ან ასეთი აქტების წაქეზება ნებისმიერი რასის ან სხვა ფერის ან ეთნიკური წარმოშობის პირთა ჯგუფის წინააღმდეგ“. ხოლო „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ მე-20 მუხლი მოუწოდებს მის ხელისმომწერ მხარეებს, აკრძალონ „ყოველგვარი გამოსვლა ეროვნული, რასობრივი თუ რელიგიური შუღლის

სასარგებლოდ, რაც დისკრიმინაციის, მტრობისა თუ ძალადობის წაქეზებაა“. საქართველოს შესახებ მის ანგარიშში (2010 წ.) რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულმა კომისიამ ასევე წარმოადგინა რეკომენდაცია სიძულვილის ენის აკრძალვასთან დაკავშირებით.

საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩო ითვალისწინებდა დასჯას მხოლოდ ზოგად დისკრიმინაციულ შემთხვევებში და არ მოიცავდა რაიმე სანქციას სიძულვილის ენასთან დაკავშირებით, რომელსაც შესაძლებელია მოჰყვეს კიდევ უფრო მასშტაბური და მძიმე შედეგები. აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას შუღლის წაქეზებისა და ძალადობის ნებისმიერი სახით, წერილობით ან სიტყვიერი ფორმით ან გამოხატვის სხვა საშუალებით დაცვის შემთხვევაში, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა შუღლის წაქეზება რასობრივ, რელიგიურ, ეროვნულ, ეთნიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და/ან სხვა ჯგუფებს შორის.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ აღნიშნული დებულების პროექტი ითვალისწინებდა წამყვანი ევროპული ქვეყნების (გერმანია, ავსტრია, ესტონეთი, უნგრეთი და ა.შ.) საერთაშორისო პრაქტიკას, მასთან დაკავშირებით გამოითქვა რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედია ორგანიზაციების მხრიდან მის სხვადასხვაგვარად განმარტების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. ორთვიანი მუშაობის შემდგომ, დებულების თავდაპირველ ვერსიაში შევიდა გარკვეული ცვლილებები, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილებისა და მისი შინაარსის სიცხადის უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბოლოო ვერსიის თანახმად, ძალადობის წაქეზება (რომლის მიზანსაც წარმოადგენს რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, რეგიონალური, ეთნიკური, სოციალური, პოლიტიკური, ლინგვისტური და/ან სხვა ფონის მქონე ადამიანთა ჯგუფებს შორის კონფლიქტის გაღვივება) ისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამოიწვევს აშკარა, პირდაპირ და მნიშვნელოვან მუქარას სისხლის სამართლის ქმედების ჩასადენად. ტერმინი „შუღლი“ აგრეთვე ამოღებულ იქნა დებულებიდან. მოცემული ფორმულა შეიცავს ისეთ ელემენტებს, რომლებიც უზრუნველყოფს საკმარისი დაცვის საშუალებებს მისი თვითნებური ინტერპრეტაციის გამოსარიცხად. შემოთავაზებული დებულება გარკვევით მიუთითებს ძალადობის ელემენტზე და შეუძლებელია გახდეს მდგომარეობის ბირიტად გამოყენების საფუძველი. ზემოაღნიშნული პროექტი მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 12 ივნისს.